საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-769

27/05/2021

ქ. თბილისი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვით ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციისა და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 3.9 და 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვით ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციისა და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N26 (24.05.2021);
2. შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N26 (24.05.2021) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურს“;
4. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი